10538/1-6/21 2 19102021

10538/1-6/21
19-10-2021

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ ნიკოლოზ ქობულაძეს

ბატონო ნიკოლოზ,

რამდენადაც ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უფლება-მოვალეობებს მიეკუთვნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისეთი საქმიანობის განხორციელება, როგორიცაა ცხოველების გაჩუქება, მიკედლება ან/და დაინტერესებულ პირთათვის მათი დაბრუნება, საჭიროების შემთხვევაში შემდგომში მათი მოვლა-პატრონობის პირობების კონტროლი, არსებობის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- სტატისტიკური მონაცემები, იმ ცხოველების შესახებ, რომლებიც მიატოვეს პატრონებმა და რომელთა იდენტიფიკაციაც ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ შეძლო. (გთხოვთ აღნიშნული მონაცემები მოგვწერეთ ჩაშლილად წლების (5 წლიან ჭრილში) და ცხოველების სახეობების მითითებით)

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან იოსელიანი

წერილის ნომერი: **73-01213082946**
თარიღი: **04/11/2021**
პინი: **5354**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ ლევან იოსელიანს

ბატონო ლევან,

თქვენი 2021 წლის 19 ოქტომბრის N02-01212923367-73 წერილის პასუხად, სადაც ითხოვთ სტატისტიკურ მონაცემებს, იმ ცხოველების შესახებ, რომლებიც მიატოვეს პატრონებმა და რომელთა იდენტიფიკაციაც ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ შეძლო (აღნიშნული მონაცემები ჩაშლილად ხუთ წლიან ჭრილში ცხოველების სახეობების მითითებით), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო გაცნობებთ, რომ 2017-2018 წლებში მსგავსი სტატისტიკური მონაცემების დამუშავება არ ხდებოდა.

ცხრილის სახით გეგზავნებათ 2019, 2020, 2021 წლების მონაცემები.

ჩააბარა პატრონმა, განხორციელდა იდენტიფიკაცია და გაშვება (ბუნებრივი არეალი, მიკედლება, გაჩუქება)		
წელი	**ცხოველის სახეობა**	**რაოდენობა**
2019 წელი	ძაღლი	60
	კატა	7
2020 წელი	ძაღლი	181
	კატა	5
2021 წელი	ძაღლი	182
	კატა	4

ნიკოლოზ ქობულაძე

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო-დირექტორი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი